ხელშეკრულება №96

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი . 25 ნოემბერი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველიწარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით დოიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ალვან (საიდ. კოდი – 439414386)** (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია **სპექტაკლებისთვის საჭირო მასალების, კერძოდ: საღებავების (6 ცალი) შესყიდვა** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 **CPV-44800000**
1.3 ხელშეკრულების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10’ მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #99 განკარგულება.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **468,00 (ოთხასსამოცდარვა)** ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიმწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.
2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში **საკუთარი** სახსრებიდან.
2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღის ვადაში.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **5 სამუშაო დღის ვადაში.**
3.2 შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ სასაქონლო ზედნადების წარდგენას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა
4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და სასაქონლო ზედნადების ელექტრონულ პორტალზე ატვირთვის შემდეგ.
4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.
4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;
7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	**შპს ალვან**
	საიდ. კოდი – 439414386
	მის: ქ. თბილისი, აგლაძის 32 (მაღაზია 8 ა)
	ბანკი: სს თიბისი ბანკი TBCBGE 22
	ანგ. N GE08 TB79 9553 6020 1000 04
ს/კ - 201948928	
ფაქტიური მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 182	
ტელ: 2357507	
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	
დავით დოიაშვილი	

Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre

Digitally signed by Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre
Date: 2019.11.28 12:00:10 +04'00'